უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

28.03.2022

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება;
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა;
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა;
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება;
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება;
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება.

ექსპერტი

ლილი ხეჩუაშვილი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	208215509

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	კლინიკური ფსიქოლოგია
2	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
3	კვალიფიკაციის დონე[2]	მეშვიდე
4	კვალიფიკაციის დასახელება	კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	-
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	0313 ფსიქოლოგია
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	120
9	განხორციელების ადგილი[5]	საქართველო, 0144, თბილისი, წინანდლის ქ. №17
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, N268150, 22.03.2021
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	05.03.2021
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	05.03.2022
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	05.03.2025

[1] დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[4] განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5] ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		✘		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✘		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✘			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✘			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✘			

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

1. სწავლის შედეგებში ნათლად გაიწეროს, რა ეცოდინებათ/შეეძლებათ სტუდენტებს კონკრეტული მიდგომის (კოგნიტურ-ბიჰევიორალური თერაპიის) მიმართულებით. მართალია, შედეგებში აღწერილია კონკრეტული კომპეტენციები, თუმცა არსად არის მითითებული, რომელი მიმართულების ფარგლებში შეძლებენ აღნიშნულის განხორციელებას.

2. პროგრამაში ჩართული სავალდებულო/არჩევითი კურსების ისეთი კომბინაციის შეთავაზება, რომ ზუსტად იმ სწავლის შედეგებზე გავიდეს სტუდენტი, რომელსაც პროგრამა უსახავს.

3. პროგრამის სტრუქტურის გადასინჯვა და სწავლის შედეგების შესაბამისად, კურსების სტატუსის მოდიფიკაცია. სავალდებულო კურსების ჩამონათვალში მხოლოდ იმ კურსების გაერთიანება, რომლებიც არსებითად მნიშვნელოვანია სწავლის შედეგების (იქნება ეს კვლევა, პრაქტიკა თუ ტრანსფერული უნარები) მისაღწევად, ხოლო დანარჩენი, უფრო ვიწროდ სპეფიციკური და სიღრმისეული კურსების არჩევითი საგნების ბლოკში გაერთიანება.

4. პროგრამის სავალდებულო კურსების იმგვარი კომბინაციის შეთავაზება სტუდენტისთვის, რომ მან შეძლოს კონკრეტული (პროგრამის ხელმძღვანელის მოსაზრებების შესაბამისად)

[6] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

მიმართულებით პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევების შეძენა, ან ეკლექტური მიდგომით მუშაობისთვის საკმარისი კომპეტენციების შეძენა.

5. გადაიხედოს ზოგიერთი კურსის მოცულობა და დაიგეგმოს თითოეული კურსისთვის ოპტიმალური მოცულობის განსაზღვრა.
6. გადაიხედოს სასწავლო კურსი „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, მონაცემთა დამუშავება SPSS-ის გამოყენებით“: შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან კურსის დასახელება და შინაარსი; (2) კურსის შინაარსი მოდიფიცირდეს იმგვარად, რომ შეესაბამებოდეს სამაგისტრო სწავლების დონეს.
7. თვისებრივი კვლევის კურსს (1) უძღვებოდეს ის აკადემიური/მოწვეული პერსონალი, რომელსაც შესაბამისი ცოდნა, გამოცდილება და კომპეტენცია გააჩნია კვლევის, კერძოდ, თვისებრივი კვლევის მიმართულებით; (2) კურსის შინაარსი შეესაბამებოდეს დასახელებას, მოიცავდეს თვისებრივ კვლევაში გამოსადეგ მეთოდებს და არ მოიცავდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა, მაგალითად „სტატისტიკური კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში“ (კვირა I).
8. პოზიტიური და ტრანსკულტურალური მიმართულების ფსიქოკონსულტირების კურსისთვის შინაარსის შესატყვისი სახელწოდების შერჩევა.
9. არჩევითი საგნების ჩამონათვალში რამდენიმე ისეთი (სამკრედიტიანი) კურსის დამატება, რომელიც მიმართული იქნება ცალკეული მეთოდის სიღრმისეულად, პრაქტიკულად ათვისებაზე და გამოადგებათ სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომებზე მუშაობისას.
10. ვინაიდან სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას მოუწევთ რაოდენობრივ (სტატისტიკური დამუშავება, SPSS) თუ თვისებრივ (კოდირება, სხვა ტიპის თვისებრივი ანალიზი, Nvivo) მონაცემებთან ურთიერთობა. შესაბამისად, რეკომენდებულია არჩევითი კურსის სახით მსგავსი კურსების შეთავაზება, რომელთაგან სტუდენტები თავიანთი სამაგისტრო ნაშრომიდან გამომდინარე, საჭიროებისამებრ აირჩევენ სათანადო კურსს.
11. მეტად ინფორმაციული სილაბუსების (როგორიცაა, მაგალითად, კურსების „სამეცნიერო წერის“ და „პრაქტიკა კოგნიტურ-ბიჰევიორალურ თერაპიაში“ სილაბუსები) შეთავაზება სტუდენტებისთვის.
12. ზოგიერთი სასწავლო კურსის სახელწოდებისა და შინაარსების ერთმანეთთან თანხმობაში მოყვანა.
13. კვლევის კომპონენტის გაძლიერება კვლევის მეთოდების კურსების მოდიფიკაციითა და პროგრამაზე მეტად მორგებით და დამატებითი არჩევითი კურსების შეთავაზებით კვლევის მეთოდების მიმართულებით.
14. უსდ-ში შემუშავდეს დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი იქნება შესაბამისი კვლევით კომპეტენციის მქონე სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობანი; ასევე, გაძლიერდეს კვლევითი კომპონენტი.
15. მოწესრიგდეს და გაიმართოს დოკუმენტი, რომელიც უკავშირდება პროგრამის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის არსებობას, რაც ხელს შეუწყობს პრაქტიკული და კვლევით პოტენციალის მქონე თანახელმძღვანელების დაბალანსების საკითხსა და თანაფარდობას.

16. დაწესებულებამ წარმოადგინოს დეტალური ბიუჯეტი, სადაც ასახული იქნება არამარტო საგანმანათლებლო პროგრამის ხარჯები, არამედ უნივერსიტეტის მხრიდან საგანმანათლებლო პროგრამის დაფინანსების წყაროებიც.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 22 მარტის N268150 გადაწყვეტილების შესაბამისად, ანგარიშის წარმოდგენის ვადად განსაზღვრული იყო 2022 წლის 5 მარტი. მიმდინარე წლის 11 თებერვალს დაწესებულებამ წარმოადგინა ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ, რომელიც, დოკუმენტების მიხედვით, წარმოდგენილია საბჭოს გადაწყვეტილებით დადგენილ ვადაში.

დაწესებულების მიერ აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციებისა და რჩევის შესასრულებლად, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შევიდა კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები პროფესორი ნოდარ სარჯველაძე და ასისტენტ პროფესორი გიორგი დონაძე, პროგრამის განხორციელებაში ჩართული ასისტენტ პროფესორი თამარ აზმაიფარაშვილი, მოწვეული ლექტორები ნაზი ჭაბაშვილი და მამუკა ბენაშვილი, უსდ-ის ხარისხის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი ნონა ზუმბაძე და სტუდენტი მარიამ ალექსეევა.

რჩევ(ებ)ი[8]

რჩევები არ დაფიქსირებულა

[7] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[8] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ[9]

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.2. პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია I	**სწავლის შედეგებში ნათლად გაიწეროს, რა ეცოდინებათ/ შეეძლებათ სტუდენტებს კონკრეტული მიდგომის (კოგნიტურ-ბიჰევიორალური თერაპიის) მიმართულებით. მართალია, შედეგებში აღწერილია კონკრეტული კომპეტენციები, თუმცა არსად არის მითითებული, რომელი მიმართულების ფარგლებში შეძლებენ აღნიშნულის განხორციელებას.**
შეფასება	**რეკომენდაცია *არ არის* გათვალისწინებულა დაწესებულების მიერ.** დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშში მითითებულია, რომ უსდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კოგნიტურ-ბიჰევიორალურ თერაპიას, თუმცა წარმოდგენილი პროგრამა ეკლექტურ ხასიათს ატარებს. პროგრამაში წარმოდგენილი კურსების შინაარსის შესწავლა აჩვენებს, რომ, ფაქტობრივად, სტუდენტებს შეეთავაზებათ კოგნიტურ-ბიჰევიორალური და ფსიქოანალიტური თერაპიის სავალებულო კურსები (და გეშტალტთერაპიისა და პოზიტიური კონსულტირების არჩევითი კურსები), რაც ნამდვილად ვერ შექმნის ეკლექტური მიდგომის ცოდნისთვის საკმარის ბაზას. აქედან გამომდინარე, რეკომენდაცია ძალაში რჩება შემდეგი ფორმულირებით: *სწავლის შედეგებში ნათლად გაიწეროს, რა ეცოდინებათ/შეეძლებათ სტუდენტებს იმ კონკრეტული მიდგომის მიმართულებით, რომელსაც პროგრამა სთავაზობს მათ. მართალია, შედეგებში აღწერილია კონკრეტული კომპეტენციები, თუმცა არსად არის მითითებული, რომელი მიმართულების ფარგლებში შეძლებენ აღნიშნულის განხორციელებას.*
მტკიცებულებ(ები)ა	• საგანმანათლებლო პროგრამა და მასში შემავალი სილაბუსები

[9] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.2. პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია II და III	**პროგრამაში ჩართული სავალდებულო/არჩევითი კურსების ისეთი კომბინაციის შეთავაზება, რომ ზუსტად იმ სწავლის შედეგებზე გავიდეს სტუდენტი, რომელსაც პროგრამა უსახავს.** **პროგრამის სტრუქტურის გადასინჯვა და სწავლის შედეგების შესაბამისად, კურსების სტატუსის მოდიფიკაცია. სავალდებულო კურსების ჩამონათვალში მხოლოდ იმ კურსების გაერთიანება, რომლებიც არსებითად მნიშვნელოვანია სწავლის შედეგების (იქნება ეს კვლევა, პრაქტიკა თუ ტრანსფერული უნარები) მისაღწევად, ხოლო დანარჩენი, უფრო ვიწროდ სპეფიციკური და სიღრმისეული კურსების არჩევითი საგნების ბლოკში გაერთიანება.**
შეფასება	**რეკომენდაციები *არ არის* გათვალისწინებული დაწესებულების მიერ.** წარმოდგენილ პროგრამაში, ფაქტობრივად, არ არის შეტანილი არსებითი ცვლილებები, გარდა იმისა, რომ ორი არჩევითი კურსის მოცულობა გაიზარდა, ხოლო სავალდებულო კურსი „მულტიდისციპლინური ზრუნვა, შემთხვევის მართვა და კრიზისული ინტერვენცია“ საერთოდ ამოღებულია პროგრამიდან (ნაცვლად იმისა, რომ არჩევითი საგნების ჩამონათვალში ყოფილიყო გადატანილი). დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განახლებული პროგრამის სტრუქტურა, ფაქტობრივად, არ განსხვავდება პროგრამის პირველი ვერსიისგან გარდა წინა აბზაცში აღნიშნული ცვლილებებისა. აქედან გამომდინარე, რეკომენდაცია ძალაში რჩება შემდეგი ფორმულირებით: *რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურის გადასინჯვა და სწავლის შედეგების შესაბამისად, კურსების სტატუსის იმგვარად მოდიფიკაცია, რომ სავალდებულო კურსების ჩამონათვალში მხოლოდ ის კურსები გაერთიანდეს, რომლებიც არსებითად მნიშვნელოვანი სწავლის შედეგების (კვლევის, პრაქტიკისა თუ ტრანსფერული უნარების მიმართულებით) მისაღწევად, ხოლო დანარჩენი სპეციფიკური და სიღრმისეული კურსების (მაგალითად, კლინიკური*

	ნეიროფსიქოლოგია) არჩევითი საგნების ბლოკში გაერთიანება
მტკიცებულებ(ები)ა	• წარმოდგენილი პროგრამა და მასში შემავალი კურსების სილაბუსები

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია IV	**პროგრამის სავალდებულო კურსების იმგვარი კომბინაციის შეთავაზება სტუდენტისთვის, რომ მან შეძლოს კონკრეტული (პროგრამის ხელმძღვანელის მოსაზრებების შესაბამისად) მიმართულებით პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევების შეძენა, ან ეკლექტური მიდგომით მუშაობისთვის საკმარისი კომპეტენციების შეძენა.**
შეფასება	**რეკომენდაცია გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ.** დაწესებულებამ დაასაბუთა წარმოდგენილი პროგრამისა და მასში შემავალი კურსების სილაბუსებით, რომ სტუდენტებს ეკლექტური მიდგომით მუშაობისთვის საჭირო ბაზისურ (თეორიულ და პრაქტიკულ) ცოდნას აძლევს და არ ემსახურება ერთი კონკრეტული მიმართულებით მუშაობის სიღრმისეული უნარ-ჩვევების გამომუშავებას. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს.
მტკიცებულებ(ები)ა	• საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია V	**გადაიხედოს ზოგიერთი კურსის მოცულობა და დაიგეგმოს თითოეული კურსისთვის ოპტიმალური მოცულობის განსაზღვრა.**
შეფასება	**რეკომენდაცია გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ.** გადაიხედა ორი კურსის „პოზიტიური მიმართულების ფსიქოკონსულტირება“ და „თეორია და პრაქტიკა გეშტალტთერაპიაში“ მოცულობა და შინაარსი. აღნიშნული კურსების განახლებული ვერსიები წარმოდგენილია ექვსკრედიტიანი კურსის სახით (ნაცვლად სამისა).
მტკიცებულებ(ები)ა	• სილაბუსი „პოზიტიური მიმართულების ფსიქოკონსულტირება“;

	• სილაბუსი „თეორია და პრაქტიკა გეშტალტთერაპიაში“.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია VI	**გადაიხედოს სასწავლო კურსი „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, მონაცემთა დამუშავება SPSS-ის გამოყენებით“: შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან კურსის დასახელება და შინაარსი; (2) კურსის შინაარსი მოდიფიცირდეს იმგვარად, რომ შეესაბამებოდეს სამაგისტრო სწავლების დონეს.**
შეფასება	**რეკომენდაცია *ნაწილობრივ არის* გათვალისწინებული დაწესებულების მიერ.** დაწესებულების მიერ წარმოდგენილია განახლებული სილაბუსი, რომელშიც მიმოხილული სტატისტიკური ანალიზის მეთოდები ნამდვილად შეესაბამება სწავლების სამაგისტრო დონეს. შესაბამისად, რეკომენდაციის მეორე ნაწილი შესრულებულია. რაც შეეხება შინაარსისა და სახელწოდების ურთიერთშესაბამისობაში მოყვანას, სილაბუსში განხილულია ისეთი საკითხები, როგორებიცაა კვლევის დიზაინი და სრული წრე, შერჩევა, ინსტრუმენტების ვალიდობისა და კვლევის ეთიკის საკითხები, რომელთა ცოდნაც უაღრესად მნიშვნელოვანია სტუდენტისთვის, თუმცა კურსის ამ ნაწილში არ არის საუბარი კვლევის ცალკეულ მეთოდებზე. ამიტომ კურსის დასახელებაში „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები“ არ ასახავს მის შინაარსს და, შესაბამისად, რეკომენდაციის პირველი ნაწილი არ არის შესრულებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელწოდებისა და შინაარსის შესაბამისობაში მოყვანა აუცილებლობით არ გულისხმობს შინაარსის შეცვლას, შესაძლებელია სახელწოდების მოდიფიცირებაც. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია: *კურსის დასახელება მოვიდეს შესაბამისობაში კურსის შინაარსთან (მაგალითად, დასახელებიდან ამოღებულ იქნას ფრაზა „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები“ და კურსის სახელწოდება იყოს „კვლევის პროცესი ფსიქოლოგიაში და მონაცემთა დამუშავება SPSS გამოყენებით, ან რაიმე სხვა დასახელება, რაც მეტად ასახავს კურსის შინაარსს).*

მტკიცებულებ(ები)ა	• სილაბუსი „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, მონაცემთა დამუშავება SPSS-ის გამოყენებით

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია VII	**თვისებრივი კვლევის კურსს (1) უძღვებოდეს ის აკადემიური/მოწვეული პერსონალი, რომელსაც შესაბამისი ცოდნა, გამოცდილება და კომპეტენცია გააჩნია კვლევის, კერძოდ, თვისებრივი კვლევის მიმართულებით; (2) კურსის შინაარსი შეესაბამებოდეს დასახელებას, მოიცავდეს თვისებრივ კვლევაში გამოსადეგ მეთოდებს და არ მოიცავდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა, მაგალითად „სტატისტიკური კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში“ (კვირა I).**
შეფასება	**რეკომენდაცია *ნაწილობრივ არის* გათვალისწინებული დაწესებულების მიერ.** დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სილაბუსით „თვისებრივი კვლევის მეთოდები“, ფაქტობრივად, დასტურდება რეკომენდაციის მეორე ნაწილის შესრულება, ვინაიდან მასში ნამდვილად არის ჩამოთვლილი/განხილული თვისებრივი კვლევის ზოგიერთი მეთოდი, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაციით (სილაბუსი და კურსის წამკითხველი პერსონალის პირადი საქმე) არ დასტურდება, რომ მას გააჩნია შესაბამისი ცოდნა, გამოცდილება და კომპეტენცია თვისებრივი კვლევის მიმართულებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არ შეცვლილა აღნიშნული კურსის წამკითხველი რეკომენდაციის მიღების შემდეგ. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშში ამ რეკომენდაციის შესრულების მტკიცებულებების ჩამონათვალში, პირად საქმესთან ერთად, მითითებულია სილაბუსი კურსისა „სტატისტიკური კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში“, რაც სრულიად არარელევანტურია აქ განხილული საკითხისა. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, რეკომენდაციის პირველი ნაწილი უცვლელად რჩება, შესაბამისად, რეკომენდებულია: *თვისებრივი კვლევის კურსს (1) უძღვებოდეს ის აკადემიური/მოწვეული პერსონალი, რომელსაც შესაბამისი ცოდნა, გამოცდილება და კომპეტენცია გააჩნია კვლევის, კერძოდ, თვისებრივი კვლევის მიმართულებით.*

მტკიცებულებ(ები)ა	• სილაბუსი „თვისებრივი კვლევა ფსიქოლოგიაში“; • მოწვეული პერსონალის პირადი საქმე.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია VIII	**პოზიტიური და ტრანსკულტურალური მიმართულების ფსიქოკონსულტირების კურსისთვის შინაარსის შესატყვისი სახელწოდების შერჩევა.**
შეფასება	**რეკომენდაცია გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ.** დაწესებულებამ წარმოადგინა სილაბუსი განახლებული სახელწოდებით „პოზიტიური მიმართულების ფსიქოკონსულტირება“
მტკიცებულებ(ები)ა	• აღნიშნული კურსის სილაბუსი.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია IX	**არჩევითი საგნების ჩამონათვალში რამდენიმე ისეთი (სამკრედიტიანი) კურსის დამატება, რომელიც მიმართული იქნება ცალკეული მეთოდის სიღრმისეულად, პრაქტიკულად ათვისებაზე და გამოადგებათ სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომებზე მუშაობისას.**
შეფასება	**რეკომენდაცია *არ არის* გათვალისწინებული დაწესებულების მიერ.** დაწესებულება რეკომენდაციების შესრულების შესახებ თვითშეფასების ანგარიშში ასაბუთებს, რომ სტუდენტებს არ სჭირდებათ ამგვარი კურსების შეთავაზება, ვინაიდან ექვსკრედიტიანი სავალდებულო კურსი „პიროვნების კლინიკური შესწავლის მეთოდები“, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია ოცამდე სხვადასხვა ინსტრუმენტის შესახებ (მათ შორის, უმაღლესი ფსიქიკური ფუნქციების, ემოციების, ინტელექტის, პიროვნული ნიშნების საკვლევი თვითადმინისტრირებადი და პროექციული მეთოდიკები) სრულად ფარავს ყველა იმ სწავლის შედეგს, რომელიც პროგრამაშია გაწერილი და, ამასთან, სტუდენტს აძლევს ამ ინსტრუმენტების პრაქტიკაში გამოყენების კომპეტენციას.

	დაწესებულების პოზიცია მისაღებია თვითადმინისტრირებად ინსტრუმენტებთან (მაგალითად, დეპრესიის ან შფოთვის საკვლევი კითხვარების შემთხვევაში) დაკავშირებით, თუმცა შეუძლებელია კლინიკური ინტერვიუირების სწავლება ერთ სასწავლო კვირაში ანდა თემატური აპერცეფციის ტესტის ორ კვირაში ათვისება ისე, რომ სტუდენტმა შეძლოს ამ ინსტრუმენტის პრაქტიკულად გამოყენება. აქედან გამომდინარე, რეკომენდაცია არ არის შესრულებული და შემდეგი ფორმულირებით რჩება ძალაში: *არჩევითი საგნების ჩამონათვალში რამდენიმე ისეთი (სამკრედიტიანი) კურსის დამატება, რომელიც მიმართული იქნება ცალკეული მეთოდის სიღრმისეულად, პრაქტიკულად ათვისებაზე.*
მტკიცებულებ(ები)ა	• სილაბუსი „ფსიქოანალიზის ფუნდამენტური კონცეპტები“

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია X	**ვინაიდან სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას მოუწევთ რაოდენობრივ (სტატისტიკური დამუშავება, SPSS) თუ თვისებრივ (კოდირება, სხვა ტიპის თვისებრივი ანალიზი, Nvivo) მონაცემებთან ურთიერთობა, რეკომენდებულია არჩევითი კურსის სახით მსგავსი კურსების შეთავაზება, რომელთაგან სტუდენტები თავიანთი სამაგისტრო ნაშრომიდან გამომდინარე, საჭიროებისამებრ აირჩევენ სათანადო კურსს.**
შეფასება	**რეკომენდაცია გათვალისწინებული დაწესებულების მიერ.** იმ კურსების განახლებული სილაბუსები, რომელთა ფარგლებშიც სტუდენტებს საშუალება მიეცემათ, მონაცემთა სტატისტიკური და თვისებრივი დამუშავების მიმართულებით გაიღრმავონ ცოდნა, ფაქტობრივად, იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ რეკომენდაცია შესრულებულია.
მტკიცებულებ(ები)ა	• სილაბუსი „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, მონაცემთა დამუშავება SPSS-ის გამოყენებით“; • სილაბუსი „თვისებრივი კვლევის მეთოდები“.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია XI	**მეტად ინფორმაციული სილაბუსების (როგორიცაა, მაგალითად, კურსების „სამეცნიერო წერის“ და „პრაქტიკა კოგნიტურ-ბიჰევიორალურ თერაპიაში“ სილაბუსები) შეთავაზება სტუდენტებისთვის.**
შეფასება	**რეკომენდაცია გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ.** აღნიშნული რეკომენდაცია მიემართებოდა კურსების „ფსიქოლოგიური ტრავმა და მასთან დაკავშირებული მდგომარეობები“ (კვირა XII „მკურნალობა“, კვირა XV „ქეისების განხილვა“) და „პოზიტიური და ტრანსკულტურალური მიმართულების ფსიქოკონსულტირება“ (კვირა IV „ბალანსის მოდელი და ცხოვრების ოთხი სფერო“, კვირა XIV „ფსიქოდინამიკის სამი სტადია“) შინაარსებს. დაწესებულებამ წარმოადგინა განახლებული სილაბუსები, რომლებშიც დეტალურად და სტუდენტისთვის გასაგებად არის წარმოდგენილი განსახილველი საკითხები.
მტკიცებულებ(ები)ა	• სილაბუსი „ფსიქოლოგიური ტრავმა და მასთან დაკავშირებული მდგომარეობები“; • სილაბუსი „პოზიტიური და ტრანსკულტურალური მიმართულების ფსიქოკონსულტირება“.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია XII	**ზოგიერთი სასწავლო კურსის სახელწოდებისა და შინაარსების ერთმანეთთან თანხმობაში მოყვანა.**
შეფასება	**რეკომენდაცია *ნაწილობრივ* გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ.** დაწესებულებამ წარმოადგინა იმ კურსების სილაბუსები, რომლებსაც ეხებოდა აღნიშნული რეკომენდაცია. კურსების დასახელებები შესაბამისობაშია მოყვანილი მათ შინაარსთან; შესაბამისად, პროგრამაში შეთავაზებულია კურსები სახელწოდებით: - თეორია და პრაქტიკა კოგნიტურ-ბიჰევიორალურ თერაპიაში; - თეორია და პრაქტიკა ჯგუფურ ფსიქოთერაპიაში; - თეორია და პრაქტიკა გეშტალტთერაპიაში; - თეორია, პრაქტიკა და სუპერვიზია ფსიქოლოგიურ კონსულტირებაში.

	თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის განახლებულ ვარიანტში შეტანილია კიდევ ერთი ცვლილება: მასში წარმოდგენილია ორნაწილიანი (სულ 12 კრედიტი) კურსი სახელწოდებით „ფსიქიკური ჯანმრთელობა, საერთაშორისო კლასიფიკატორები“, რომელიც პროგრამის პირვანდელ ვერსიაში ამავე სახელწოდებით წარმოდგენილი კურსის სრულიად ახალი ვარიანტია (შინაარსობრივი თვალსაზრისით). კურსის შინაარსი მოცულობითია, თუმცა, (ა) არ შეესაბამება სახელწოდებას და (ბ) ფაქტობრივად, ბაკალავრიატის საფეხურის შესაბამისი პათოფსიქოლოგიის კურსის გამეორებას წარმოადგენს. ამის თქმის საფუძველს კურსის ფარგლებში გამოყენებული საკითხავი მასალა იძლევა. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია: *სასწავლო კურსის „ფსიქიკური ჯანმრთელობა, საერთაშორისო კლასიფიკატორები 1 და 2“ (ა) დასახელებისა და შინაარსის ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა და (ბ) სტუდენტების სამაგისტრო სწავლების საფეხურის შესატყვისი საკითხავი მასალით უზრუნველყოფა, რაც კურსის შინაარსზეც მოახდენს გავლენას.*
მტკიცებულებ(ები)ა	• სილაბუსი „თეორია და პრაქტიკა კოგნიტურ-ბიჰევიორალურ თერაპიაში; • სილაბუსი „თეორია და პრაქტიკა ჯგუფურ ფსიქოთერაპიაში“; • სილაბუსი „თეორია და პრაქტიკა გეშტალტთერაპიაში“; • თეორია, პრაქტიკა და სუპერვიზია ფსიქოლოგიურ კონსულტირებაში; • სილაბუსი „ფსიქიკური ჯანმრთელობა, საერთაშორისო კლასიფიკატორები 1 და 2“.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.4.პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
რეკომენდაცია XIII	**კვლევის კომპონენტის გაძლიერება კვლევის მეთოდების კურსების მოდიფიკაციითა და პროგრამაზე მეტად მორგებით და დამატებითი არჩევითი კურსების შეთავაზებით კვლევის მეთოდების მიმართულებით.**
შეფასება	**რეკომენდაცია *ნაწილობრივ* გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ.**

	დაწესებულებამ წარმოადგინა თვისებრივი კვლევის მეთოდების მოდიფიცირებული სილაბუსი; ასევე, პროგრამაში არის კურსი „პიროვნების კლინიკური შესწავლის მეთოდები“; თუმცა პროგრამაში არ არის შეთავაზებული დამატებითი არჩევითი კურსები (იხ. ზემოთ, რეკომენდაცია IX). შესაბამისად, რეკომენდაცია ვერ ჩაითვლება სრულად შესრულებულად და ძალაში რჩება შემდეგი ფორმულირებით: *კვლევის კომპონენტის გაძლიერება პროგრამაში დამატებითი არჩევითი კურსების შეთავაზებით კვლევის მეთოდების მიმართულებით.*
მტკიცებულებ(ები)ა	• საგანმანათლებლო პროგრამა; • სილაბუსი „თვისებრივი კვლევის მეთოდები“; • სილაბუსი „პიროვნების კლინიკური კვლევის მეთოდები“.

სტანდარტის დასახელება	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა
კომპონენტის დასახელება	3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
რეკომენდაცია XIV	**უსდ-ში შემუშავდეს დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი იქნება შესაბამისი კვლევით კომპეტენციის მქონე სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობანი; ასევე, გაძლიერდეს კვლევითი კომპონენტი.**
შეფასება	**რეკომენდაცია გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ.** დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი „სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების წესი“, რომელიც მოდიფიცირებული ვარიანტი დამტკიცებულია უსდ-ის რექტორის 2021 წლის 21 აპრილის N224 ბრძანებით. დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი (ა) ვინ შეიძლება იყოს წარმოდგენილი პროგრამის სტუდენტების სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი და (ბ) რა უფლება-მოვალეობები აკისრია ხელმძღვანელს.
მტკიცებულებ(ები)ა	• სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების წესი -- რედაქტირებული ვერსია

სტანდარტის დასახელება	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.1. ადამიანური რესურსი
რეკომენდაცია XV	**მოწესრიგდეს და გაიმართოს დოკუმენტი, რომელიც უკავშირდება პროგრამის ხელმძღვანელის/ თანახელმძღვანელის არსებობას, რაც ხელს შეუწყობს პრაქტიკული და კვლევითი პოტენციალის მქონე თანახელმძღვანელების დაბალანსების საკითხსა და თანაფარდობას.**
შეფასება	**რეკომენდაცია გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ.** დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი -- უნივერსიტეტის დებულება, რომელშიც შეტანილია შესაბამისი ცვლილება ხელმძღვანელთან დაკავშირებულ ნაწილში. დებულების მიხედვით, „პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, მას შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე ხელმძღვანელი ან/და თანახელმძღვანელი, პრაქტიკული და კვლევითი პოტენციალის მქონე ხელმძღვანელების/ თანახელმძღვანელების დაბალანდების, ხოლო ინტერდისციპლინური პროგრამების შემთხვევაში, დარგთაშორისი დაბალანსების მიზნით“. ამჟამად წარმოდგენილ პროგრამას ორი ხელმძღვანელი ჰყავს, რომლებიც არიან უსდ-ის აფილირებული პერსონალი და აქვთ შესაბამისი აკადემიური, კვლევით და პრაქტიკული გამოცდილება.
მტკიცებულებ(ები)ა	• პროგრამის ხელმძღვანელების პირადი საქმეები

სტანდარტის დასახელება	4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.4. პროგარმის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
რეკომენდაცია XVI	**დაწესებულებამ წარმოადგინოს დეტალური ბიუჯეტი, სადაც ასახული იქნება არამარტო საგანმანათლებლო პროგრამის ხარჯები, არამედ უნივერსიტეტის მხრიდან საგანმანათლებლო პროგრამის დაფინანსების წყაროებიც.**
შეფასება	**რეკომენდაცია გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ.** დაწესებულებამ წარმოადგინა დეტალური ბიუჯეტი, რომელიც სამ ნაკადად მისაღებ 65 სტუდენტზეა გაწერილი და მოიცავს ისეთ სექციებს, როგორებიცაა შემოსავალი სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასურიდან, საოპერაციო ხარჯები, აკადემიური პერსონალის სახელფასო ფონდი, პროგრამის ადმინისტრირების ხარჯები, სტუდენტთა შემოქმედებითი საქმიანობის, კონფერენციებში მონაწილეობის, პუბლიკაციებისა და სასწავლო რესურსებისა და ინვენტარის ხარჯები.
მტკიცებულებ(ები)ა	• კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი

ექსპერტის ხელმოწერა